

შპს „ფულ ჰაუსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები	17
5. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA).....	18
6. ძირითადი საშუალებები	18
7. აქტივის გამოყენების უფლება.....	19
8. მოთხოვნები.....	19
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	19
10. საკუთარი კაპიტალი	20
11. საიჯარო ვალდებულება.....	20
12. წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	21
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
14. საგადასახადო დავალიანება	21
15. ამონაგები და შემოსულობა	22
16. გაყიდული საქონლის თვითღირებულება.....	22
17. მარკეტინგული ხარჯები.....	22
18. სახელფასო ხარჯები.....	22
19. სალიცენზიო და აზარტულ თამაშთან დაკავშირებული ფიქსირებული ხარჯები.....	23
20. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.....	23
21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა.....	23
22. ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	26
23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	26
24. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფულ ჰაუსის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ფულ ჰაუსის“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჯგუფის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი (SARAS-A-615243)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2023 წლის 12 დეკემბერი

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,231	2,399
არამატერიალური აქტივები		1,833	303
აქტივის გამოყენების უფლება	7	4,040	1,247
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია		160	160
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,264	4,109
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		63	198
მოთხოვნები	8	8,972	5,949
გადახდილი ავანსი		2,632	223
წინასწარ გადახდილი სალიცენზიო და აზარტული თამაშების მოსაკრებელი		608	610
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	10,489	51,383
სულ მოკლევადიანი აქტივები		22,764	58,363
სულ აქტივები		31,028	62,472
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	195	3,900
გაუნაწილებელი მოგება		13,532	39,492
სულ საკუთარი კაპიტალი		13,727	43,392
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	11	2,476	822
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,476	822
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	7,988	12,652
გადასახდელი გადასახადები	14	90	1,518
საიჯარო ვალდებულებები	11	1,556	520
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	12	178	180
მომხმარებელთა ნაშთები		5,013	3,388
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		14,825	18,258
სულ ვალდებულებები		17,301	19,080
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		31,028	62,472

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 დეკემბერს.

გია დუმბაძე

დირექტორი



5-27 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები და შემოსულობა	15	225,849	163,019
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	16	(145,233)	(84,091)
საერთო მოგება		80,616	78,928
სხვა შემოსავალი	15	10,328	8,130
მარკეტინგული ხარჯები	17	(8,547)	(12,106)
სახელფასო ხარჯები	18	(11,241)	(7,575)
სალიცენზიო და აზარტულ სათამაშო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები	19	(3,364)	(3,099)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(2,207)	(1,861)
სხვა საოპერაციო ხარჯები	20	(1,344)	–
სულ არასაოპერაციო ხარჯები		(16,375)	(16,511)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(1,913)	(1,004)
საოპერაციო მოგება		62,328	61,413
ფინანსური შემოსავალი	9	3,766	2,114
ფინანსური დანახარჯები	11	(157)	(37)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		322	185
საკურსო სხვაობით განპირობებული მოგება/(ზარალი), წმინდა მოგება დაბეგვრამდე		41	(500)
		66,300	63,175
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(5,944)	(4,087)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		60,356	59,088

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,900	3,562	7,462
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	59,088	59,088
დივიდენდები (მე–10 შენიშვნა)	–	(23,158)	(23,158)
2021 წლის 31 დეკემბერს	3,900	39,492	43,392
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	60,356	60,356
კაპიტალის შემცირება (მე–10 შენიშვნა)	(3,705)	–	(3,705)
დივიდენდები (მე–10 შენიშვნა)	–	(86,316)	(86,316)
2022 წლის 31 დეკემბერს	195	13,532	13,727

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		66,300	63,175
კორექტირებები დაბეგვრამდე ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,913	1,004
ფინანსური შემოსავალი		(3,766)	(2,114)
ფინანსური დანახარჯები		157	37
საკუთრობის სხვაობები, წმინდა		(41)	500
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		64,563	62,602
საბრუნავი კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება მარაგებში		135	(147)
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(3,001)	(3,004)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(2,409)	96
წინასწარ გადახდილი სალიცენზიო და აზარტული თამაშების მოსაკრებლის ცვლილება		2	(1)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(4,573)	7,439
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		(1,428)	(420)
ცვლილება მომხმარებელთა ნაშთებში		1,625	2,397
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტის და მოგების გადასახადის გადახდამდე		54,914	68,962
მოგების გადახდილი გადასახადი		(5,944)	(4,087)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		3,766	2,114
გადახდილი საპროცენტო ხარჯები	11	(157)	(37)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		52,579	66,952
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(714)	(1,317)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,888)	(306)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გასვლიდან		160	–
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,442)	(1,623)
საფინანსო საქმიანობა			
საწესდებო კაპიტალის კლება		(3,705)	–
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	11	(770)	(396)
გადახდილი დივიდენდები	10	(86,316)	(23,158)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		(90,791)	(23,554)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (კლება)/ზრდა		(40,654)	41,775
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	9	51,383	10,232
გაცვლითი კურსების ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(240)	(624)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	10,489	51,383

5–27 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ფულ ჰაუსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ განმარტების შესაბამისად. იგი დაფუძნდა 2016 წლის 31 მარტს. კომპანიამ ძირითადი საქმიანობა დაიწყო 2019 წლის 1 იანვრიდან, როდესაც შპს „დრიმთიმისგან“ აქტივები შეისყიდა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზ. 33, ხოლო კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405143303.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს (შემდგომში „ჯგუფი“). კომპანია 100%-იან წილს ფლობს საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „სოფტმასტერში“, რომელიც არის აზარტული თამაშების #143633 ლიცენზიის მქონე საწარმო (კიურასაოს კანონმდებლობის შესაბამისად).

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ონლაინ აზარტული თამაშებია. ჯგუფის მთავარი პროდუქტებია: ონლაინ სათამაშო აპარატებით თამაშები, ონლაინ სპორტული ტოტალიზატორი, ონლაინ კაზინო, პირინგული თამაშები. ჯგუფი თავის მომხმარებლებს ონლაინ თამაშის პლატფორმას სთავაზობს ვებგვერდის: www.crocobet.com მეშვეობით და ფუნქციონირებს საფირმო სახელწოდებით „კროკობეთი“. ზემოაღნიშნულის გარდა, ჯგუფი მუშაობს ონლაინ სეგმენტზე ფიზიკური სათამაშო აპარატების კლუბის და ტოტალიზატორის მეშვეობით, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ჭიათურა, წინოშვილის #5.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა ასეთი იყო:

მესაკუთრეები	2022	2022
	საკუთრების წილი, %	საკუთრების წილი, %
თემურ მიქელაძე, საქართველოს მოქალაქე	35%	35%
ნორბერტ ფრანც ტეუფელბერგერი, ავსტრიის მოქალაქე	16.67%	16.67%
გიგი ლევი-ვაისი, ისრაელის მოქალაქე	16.67%	16.67%
მანფრედ ბოდენერი, ავსტრიის მოქალაქე	16.66%	16.66%
კლაუს ჯემალ რასმუსენი, დანიის მოქალაქე	5%	5%
გურამ დოლიძე, საქართველოს მოქალაქე	2.5%	2.5%
ზურაბ ერქომაიშვილი, საქართველოს მოქალაქე	2.5%	2.5%
ბაკურ ხარჩილავა, საქართველოს მოქალაქე	2.5%	2.5%
გიორგი ბარნაბიშვილი, საქართველოს მოქალაქე	2.5%	2.5%
	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, ფსონების დადების ოპერაციების გარდა, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ ჯგუფს აქვს ინვესტირებულ საწარმოზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ▶ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტირებულ საწარმოში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტირებულ საწარმოზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში ფლობს ხმის ან სხვა მსგავსი უფლების უმრავლეს ნაწილზე ნაკლებს, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ სახელშეკრულებო შეთანხმება (შეთანხმებები) ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე სხვა პირებთან;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციური ხმის უფლებებს.

შვილობილი საწარმო კონსოლიდირდება ჯგუფის კონტროლის უფლების წარმოშობიდან და აღარ გააჩნია აღნიშნული სტატუსი კონტროლის შეწყვეტისას. ჯგუფის ყველა შიდა გარიგების, მის შვილობილ საწარმოებს შორის არსებული ნაშთისა და არარეალიზებული შემოსულობის სრულად გაქვითვა ხდება, ასევე ხდება არარეალიზებული დანაკარგების გაქვითვაც, თუ გარიგება არ წარმოადგენს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

შვილობილი საწარმოს საკუთრების წილის ცვლილება, კონტროლის ცვლილების გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. ზარალი მიეწერება არასაკონტროლო პაკეტს მაშინაც კი, თუ ეს ბალანსის დეფიციტს იწვევს.

თუ ჯგუფი შვილობილ საწარმოზე კონტროლს დაკარგავს, იგი წყვეტს შვილობილი საწარმოს აქტივების (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებების, ნებისმიერი არასაკონტროლო პაკეტის საბალანსო ღირებულების, კუმულაციური საკურსო სხვაობების აღიარებას, რაც აღირიცხება საკუთარ კაპიტალში, აღიარებს მიღებული საზღაურის, ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიან ღირებულებასა და მოგებაში ან ზარალში ნებისმიერ ნამეტს თუ დეფიციტს და ახდენს მშობელი საწარმოს კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას სხვა სრული შემოსავლიდან კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდზე ვრცელდება და მას თანმიმდევრულად იყენებს ჯგუფი.

ა) ამონაგები და შემოსულობა

ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურება მოიცავს ონლაინ თამაშებს: სათამაშო აპარატებს, სამორინეს, პირინგულ თამაშებს და ტოტალიზატორს. ჯგუფი ასევე ფლობს სათამაშო აპარატების კლუბს და ტოტალიზატორს საქართველოში, ქიათურაში.

ჯგუფის აზარტული თამაშების საქმიანობა კლასიფიცირდება, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, იმ პროდუქტების გამოკლებით, რომლებზეც მიიღება საკომისიო შემოსავალი. ეს წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ამონაგების მუხლში, ვინაიდან ის ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება ამონაგებში, ისევე, როგორც უკვე დახურულ პოზიციებზე რეალიზებული შემოსულობა და ზარალი.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ა) ამონაგები და შემოსულობა (გაგრძელება)

ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ამონაგები აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას კლიენტისთვის დაპირებული მომსახურების გაწევით. შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ ჯგუფი გარიგების ფასის ოდენობას ამონაგებად აღიარებს. ამონაგები განისაზღვრება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების საფუძველზე. ჯგუფი ამონაგებს მაშინ აღიარებს, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ხასიათისა და დროულობის და შესაბამისი შემოსავლის აღიარების პოლიტიკის შესახებ.

ამონაგები პირინგული თამაშებიდან და სხვა ამონაგები

ვინაიდან ჯგუფს პირინგული თამაშებიდან ამონაგებზე უფლება უზნდება მაშინვე, როგორც კი მომხმარებელი თამაშს იწყებს, რეიქის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, ყოველი ხელის თამაშისას.

ზოგადი საქმიანობიდან ამონაგები შედგება მომხმარებელთა ოპერაციების საკომისიოსგან და პირინგული გადარიცხვებიდან მიღებული საკომისიოსგან. ვინაიდან კონტროლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ახორციელებს ოპერაციას ან პირინგულ გადარიცხვას, ამონაგების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, დროის ამ მომენტში.

შემოსავალი პირინგული (P2P) თამაშებიდან არ ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას, გარდა ნარდისა, რომლის შემოსავალი აღიარდება დღგ-ის გარეშე.

ამონაგები სამორინიდან

ამონაგები ონლაინ სამორინეს თამაშებიდან წარმოადგენს წმინდა მოგებულ თანხას, რაც არის ფსონად ჩამოსულ თანხას გამოკლებული მომხმარებლის მოგება, და აღირიცხება პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა წამახალისებელი აქციის გამოკლებით. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება ამონაგებში, ისევე, როგორც უკვე დახურულ პოზიციებზე რეალიზებული შემოსულობა და ზარალი.

ამონაგები სათამაშო აპარატებიდან და ტოტალიზატორიდან

ამონაგები სათამაშო აპარატების და ტოტალიზატორის საქმიანობიდან წარმოადგენს წმინდა შემოსულობას ან ზარალს პერიოდის განმავლობაში ფსონების დადების საქმიანობიდან და აღირიცხება პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა წამახალისებელი აქციის გამოკლებით. ჯგუფის ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. ეს წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ამონაგების მუხლში, ვინაიდან ის ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება ამონაგებში, ისევე, როგორც უკვე დახურულ პოზიციებზე რეალიზებული შემოსულობა და ზარალი. წამახალისებელი აქციები გამოიქვითება ტოტალიზატორის და სათამაშო აპარატების ამონაგებიდან.

გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება წარმოადგენს პირდაპირ ცვალებად ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ამონაგების წარმოქმნელ საქმიანობასთან და, ძირითადად, მოიცავს თამაშის პროვაიდერის ხარჯებს და მასთან დაკავშირებულ გადასახადს, ტოტალიზატორის გადასახადს, სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის გადასახადი და მომხმარებლის გადახდის დამუშავების საკომისიოებს. გაყიდული საქონლის თვითღირებულება არ მოიცავს სახელფასო, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**ბ) ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები**

ჯგუფის ფინანსურ შემოსავალსა და ფინანსურ დანახარჯებში შედის:

- ▶ საპროცენტო შემოსავალი ინვესტირებულ სახსრებზე;
- ▶ საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით მოგებაში ან ზარალში მისი დარიცხვისას.

სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება წმინდა თანხით როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯები, იმისდა მიხედვით, სავალუტო კურსის მოძრაობა წმინდა შემოსულობის თუ წმინდა ზარალის პოზიციას განაპირობებს.

გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თვითღირებულებით აღირიცხება, გარდა ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებისა, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურება. ამგვარი ხარჯი მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების თვითღირებულებას, ამ ხარჯის გაწევისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება გაუფასურების მიზნით, როცა მოვლენები ან ცვლილებები ვითარებებში მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საბალანსო ღირებულება ვერ ანაზღაურდება.

გადაფასების თარიღისთვის დაგროვილი ცვეთა ჩამოიწერება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა ღირებულების გადანაგარიშება ხდება აქტივის გადაფასებულ ღირებულებამდე. გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მანამდე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასების შედეგად მისი ოდენობის შემცირების შეზღუდვა. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგება-ზარალში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წლები
მანქანები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5
ავეჯი და მოწყობილობები	5
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	5
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5-7
სხვა აღჭურვილობა	5

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ვითარებიდან გამომდინარე ხდება, ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და ისინი შედის საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია დაანგარიშდება წრფივი მეთოდით 3–7-წლიანი საშუალო პერიოდისთვის. მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გათვალისწინდება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის მოდიფიცირებისთვის და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფასდება, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მისი აღიარება ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

ე) უცხოური ვალუტა

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში – ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტა, ვინაიდან ქართული ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში შესრულებულ ოპერაციებს ჯგუფი თავდაპირველად აღრიცხავს ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო თარიღში არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ-კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

ვ) გადასახადები

ონლაინ ტოტალიზატორის გადასახადი

სისტემურ-ელექტრონული ფორმით მიღებული ფსონების ჯამი იბეგრება 7% იანი განაკვეთით. ამასთან გადახდილი გადასახადი აღირიცხება გაყიდული საქონლის თვითღირებულების ნაწილში.

სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის გადასახადი

აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში საქმიანობის ამ ნაწილში პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემული მოგებას შორის სხვაობა 10%-იანი განაკვეთით. ამასთან გადახდილი გადასახადი აღირიცხება გაყიდული საქონლის თვითღირებულების ნაწილში

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი დაირიცხება იმ მფლობელებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**ვ) გადასახადები (გაგრძელება)***სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხის გადასახადი*

2% იანი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით იხეგრება სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილე პირის მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

თამაშის მომსახურების მომწოდებლებისგან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ამრიგად, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში, თამაშის მომწოდებლის ხარჯების ნაწილში.

თამაშების მოსაკრებელი (სალიცენზიო და აზარტულ თამაშთან დაკავშირებული ფიქსირებული ხარჯები)

საქართველოს კანონი „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ ითვალისწინებს სანებართვო გადასახადის დაკისრებას აზარტული თამაშობების კომპანიებისთვის. სანებართვო გადასახადის ობიექტია:

- ▶ სამორინეს მოწყობა
- ▶ სათამაშო აპარატების კლუბების მოწყობა
- ▶ ტოტალიზატორის მოწყობა
- ▶ წამახალისებელი გათამაშების მოწყობა
- ▶

(ზ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**(ზ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად (გაგრძელება)**

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ვალდებულების პირობები, რომლებიც კონტრაქტის შეხედულებისამებრ გამოიწვევს მის დაფარვას წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების გზით, არ მოქმედებს მის კლასიფიკაციაზე.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი „მოკლევადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

თ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები**კლასიფიკაცია**

ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს შემდეგი შეფასების კატეგორიების მიხედვით:

- ▶ აქტივები, რომლებიც შემდგომში უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით (სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან მოგებაში ან ზარალში ასახვით); და
- ▶ აქტივები, რომლებიც უნდა აღირიცხოს ამორტიზებული ღირებულებით.

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია საწარმოს მიერ ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელზე და ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადებზე.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივების შემთხვევაში, შემოსულობა და ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. სავაჭროდ გამიზნულ წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტირების შემთხვევაში, აღნიშნული დამოკიდებულია იმაზე, გააკეთა თუ არა ჯგუფმა გამოუთხოვადი მითითება საწყისი აღიარებისას, რომ კაპიტალის ინვესტიცია აუცილებლად უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ჯგუფი სასესხო ინვესტიციების რეკლასიფიკაციას ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება კომპანიის ასეთი აქტივების მართვისთვის განკუთვნილი ბიზნესმოდელი.

შეფასება

საწყისი აღიარებისას ჯგუფი ფინანსურ აქტივებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს, რასაც ემატება ფინანსური აქტივის შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებული საოპერაციო დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ეს ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(თ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

სავალო ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომლითაც იმართება აქტივი და ამ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც ჯგუფი ახდენს თავისი სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

ამორტიზებული ღირებულება

სახელმწიფო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობილი აქტივები, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული აქტივი წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. ამგვარი ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. აქტივის აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობის ან ზარალის აღიარება ხდება პირდაპირ მოგებაში ან ზარალში და აისახება სხვა შემოსულობაში/(ზარალში), საკურსო სხვაობით განპირობებულ შემოსულობასა და ზარალთან ერთად. გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია ცალკე მუხლის სახით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI)

სახელმწიფო ფულადი ნაკადების მისაღებად და ფინანსური აქტივების გასაყიდად გამიზნული აქტივები, თუ ამ აქტივების ფულადი ნაკადები მოიცავს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში აისახება სხვა სრულ შემოსავალში, გაუფასურების შემოსულობის ან ზარალის, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობის და ზარალის გარდა, რომელთა აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი გადაკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება სხვა შემოსულობაში/(ზარალში). ამგვარი ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი აისახება სხვა შემოსულობაში/(ზარალში), ხოლო გაუფასურების ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ცალკე მუხლის სახით.

სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL)

აქტივები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული აქტივის ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივის, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, კრიტერიუმებს, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სასესხო ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში და წარმოდგენილია წმინდა ოდენობით იმ პერიოდის სხვა შემოსულობაში/(ზარალში), რომლის განმავლობაშიც ის წარმოიშვა.

მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ხდება, შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და, ძირითადად, შედგება საკრედიტო დაწესებულებებისა და ელექტრონული გადახდების კომპანიების მიმართ მოთხოვნებისგან. ჯგუფმა გამოიყენა ფასს (IFRS) 9-ის გამარტივებული მიდგომა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვალა აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. უიმედო ვალების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ სრული თანხის ამოღება შეუძლებელია ვერ მოხერხდეს.

გაუფასურება

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზრები), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომელიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**(თ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)**

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელმწიფო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ ჯგუფი სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელმწიფო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები*საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება*

საწყისი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და ნასესხები სახსრები, ვალდებულებები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს, ვითარებიდან გამომდინარე. ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების, ნასესხები სახსრებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთვის პირდაპირ მიკუთვნებადი საოპერაციო დანახარჯები.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა ვალდებულების და მომხმარებელთა ანაბრებისგან, ასევე ბანკებისა და სხვა საფინანსო დაწესებულებების წინაშე არსებული დავალიანებისგან.

შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარების შემდეგ ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ან სხვაგან, როდესაც წყდება ვალდებულებების აღიარება, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაცია აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში ფინანსური დანახარჯების ნაწილში. ეს კატეგორია ზოგადად მოიცავს პროცენტთან სესხებს და ნასესხებ სახსრებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებაში აღიარდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ი) იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, საზღაურის სანაცვლოდ.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ განახორციელოს საიჯარო გადახდები და ანაზღაუროს აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლებას.

აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი ხელახალი შეფასების მიხედვით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდების თანხას, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით. სანამ ჯგუფს არ ექნება გონივრული რწმენა იმისა, რომ ის მიიღებს საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლებას იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, აღიარებული აქტივის გამოყენების უფლება ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, მისი უმოკლესი იჯარის ვადის განმავლობაში.

თუ საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება გადადის ჯგუფზე საიჯარო პერიოდის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის ოფციონის აღსრულებას, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღში ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს), რასაც აკლდება ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნა, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის საფუძველზე. საიჯარო გადახდები ასევე მოიცავს შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასს, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა ჯგუფის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფს, რომელიც იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის (სანამ არ მოხდება მათი გაწევა მარაგების საწარმოებლად) სახით იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვა ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზარდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება – განხორციელებული საიჯარო გადახდებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საიჯარო აქტივის შესყიდვის ოფციონის შეფასების ცვლილებას.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ი) იჯარა (გაგრძელება)

მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების ონე აქტივების იჯარა

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას ჯგუფის მასშტაბით ავტოსატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის ოფციონს). ჯგუფი ასევე სარგებლობს დაბალფასიანი იჯარისგან გათავისუფლების უფლებით თავის დაბალფასიან იჯარებზე. საიჯარო გადახდები მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფის არაფინანსური აქტივების (გარდა მარაგებისა) საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო თარიღით ფასდება, გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის მიზნით. ასეთი ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურებაზე ტესტის მიზნით აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ მოწმდება, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც სხვა აქტივებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან დამოუკიდებლად წარმოქმნის ფულად ნაკადებს უწყვეტი გამოყენების პირობებში.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ღირებულებასა და მის გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

ლ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და სალაროში და მაღალლიკვიდურ მიმდინარე ანგარიშებს ან ანაზღაურებს, რომლებიც მარტივად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ ოდენობად და გასწევენ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს და მოკლევადიან ანაზღაურებს, ზემოთ განსაზღვრული ფორმით.

მ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხთან დაკავშირებული ხარჯი აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**ნ) სამართლიანი ღირებულების შეფასება**

ჯგუფი ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს და არაფინანსურ აქტივებს, როგორც არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გასაყიდი ღირებულებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით ბალანსის ყოველ თარიღში და მოსავლის აღების დროს.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე;
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად – არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი);
- ▶ მე-2 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ მე-3 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს ჯგუფი განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულების განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ჯგუფმა აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

ო) დასაქმებულთა გასამრჯელოები

ხელფასები, წლიური შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და განმარტებითი შენიშვნები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ სტანდარტებს გავლენა ექნებათ კომპანიაზე:

- ▶ „წამგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ – ბასს (IAS) 37-ის ცვლილება
- ▶ ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „კონცეპტუალური მიდგომა“
- ▶ „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ – ბასს (IAS) 16-ის („იჯარა“) ცვლილება
- ▶ ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება – შვილობილი საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს“
- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები – ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები“
- ▶ ბასს (IAS) 41 – „სოფლის მეურნეობა – დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში“

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, თანდართულ განმარტებით შენიშვნებსა და პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

მოთხოვნების რეზერვი

ჯგუფს აქვს მხოლოდ მოთხოვნები დაფინანსების კომპონენტის გარეშე, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია. ჯგუფი ყველა თავისი სავაჭრო მოთხოვნების მიმართ იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ფასს (IFRS) 9-ით დაშვებულ გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგებს, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი ზედმეტი დანახარჯების თუ ძალისხმევის გაწევის გარეშე, წარსული მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ.

საფინანსო დაწესებულებებში ფლობილი ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ჯგუფმა განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

(ათას ლარში)

5. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

ხელმძღვანელობამ საქმიანობის შეფასების საზომად წარმოადგინა დაკორექტირებული EBITDA, რადგან ის ამ მაჩვენებელს მონიტორინგს უწევს და მიაჩნია, რომ ეს საზომი რელევანტურია ჯგუფის ფინანსური შედეგების შეფასებისთვის.

შეცვლილი EBITDA არ არის ფასს სტანდარტებით შეფასებული შესრულების საშუალება. შეცვლილი EBITDA-ს ჯგუფისეული შეფასება შესაძლოა არ იყოს შედარებადი საქმიანობის შედეგების ანალოგიური სახელწოდების საზომებთან და სხვა საწარმოების მიერ გაცხადებულ ინფორმაციასთან.

შეცვლილი EBITDA-ს შეჯერება წლის შემოსავალთან ასე გამოიყურება:

	შენიშვნა	2022	2021
წლის მოგება		60,356	59,088
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6	1,913	1,004
ფინანსური დანახარჯები	11	157	37
ფინანსური შემოსავალი		(3,766)	(2,114)
მოგების გადასახადის ხარჯი	14	5,944	4,087
შეცვლილი EBITDA		64,604	62,102

6. ძირითადი საშუალებები

	მანქანები და ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვი- ლობა	ავეჯი	საიჯარო გაუმჯობე- სებები	სხვა	მთლიანი
თვითღირებულება						
2021 წლის 1 იანვრის						
მდგომარეობით	40	1,634	96	126	148	2,044
შესყიდვები	188	854	79	87	109	1,317
2021 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	228	2,488	175	213	257	3,361
შესყიდვები	78	502	56	13	65	714
გასვლები	(1)	(176)	(17)	-	-	(194)
2022 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	305	2,814	214	226	322	3,881
ცვეთა						
2021 წლის 1 იანვრის						
მდგომარეობით	15	325	22	10	27	399
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	27	440	27	29	40	563
2021 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	42	765	49	39	67	962
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	29	534	42	45	72	722
დაგროვილი ცვეთა გასვლებზე	-	(25)	(9)	-	-	(34)
2022 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	71	1,274	82	84	139	1,650
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	186	1,723	126	174	190	2,399
2022 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	234	1,540	132	142	183	2,231

(ათას ლარში)

7. აქტივის გამოყენების უფლება

<i>ოფისები და სხვა უძრავი ქონება</i>	<i>2022</i>	<i>2021</i>
1 იანვარი	1,441	714
შესყიდვები	3,626	1,441
გასვლები და შეწყვეტა	–	(714)
31 დეკემბერი	5,067	1,441
დაგროვილი ცვეთა		
1 იანვარი	(194)	(438)
ცვეთის დანარიცხი	(833)	(398)
გასვლები და შეწყვეტა	–	642
31 დეკემბერი	(1,027)	(194)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება		
31 დეკემბერი	4,040	1,247

8. მოთხოვნები

	<i>2022</i>	<i>2021</i>
მოთხოვნები საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიმართ	8,777	5,659
სხვა მოთხოვნები	195	290
	8,972	5,949

მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება და მათი ვადა, როგორც წესი, 2–5 დღეა. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, ხოლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელოა.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ასე გამოიყურებოდა:

	<i>2022</i>	<i>2021</i>
მიმდინარე ანგარიშები ბანკში		
ლარში გამოხატული	10,410	47,823
აშშ დოლარში გამოხატული	25	176
ევროში გამოხატული	11	3,322
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგში გამოხატული	11	14
	10,457	51,335
ფულადი სახსრები ოფისებს გარეთ		
ლარში გამოხატული	32	48
	32	48
	10,489	51,383

მიმდინარე ანგარიშებზე საპროცენტო შემოსავალი 3,766 ლარს გაუტოლდა 2021 წლის განმავლობაში (2021 წ.: 2,114 ლარი).

(ათას ლარში)

10. საკუთარი კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 195 ლარს შეადგენდა. 2022 წლის განმავლობაში კაპიტალი 3,705 ლარით შემცირდა.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბერს საკუთრების სტრუქტურა 1-ელ შენიშვნაშია ნაჩვენები. 2022 წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოაცხადა და სრულად დაფარა 86,316 ლარის ოდენობით დივიდენდები (2021 წ.: 23,158 ლარი).

11. საიჯარო ვალდებულება

ჯგუფს საოფისე ფართების იჯარაზე გაფორმებული აქვს საიჯარო ხელშეკრულებები. ჯგუფის ვალდებულებების მის იჯარასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით საიჯარო აქტივებზე. ზოგადად, ჯგუფს ეკრძალება საიჯარო აქტივების გადაცემა და ქვეიჯარა. ზოგიერთი საიჯარო ხელშეკრულება მოიცავს მისი გახანგრძლივების და შეწყვეტის შესაძლებლობას, ასევე ცვლად საიჯარო გადახდებს. ჯგუფი ასევე იჯარით იღებს ობიექტებს 12-თვიანი ან ნაკლები იჯარის ვადით. ამ იჯარებისთვის, ჯგუფი სარგებლობს „მოკლევადიანი იჯარის“ და „დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის“ აღიარებისგან განთავისუფლების უფლებით.

ქვემოთ მოცემულია საიჯარო ხელშეკრულებებთან კავშირში მოგება-ზარალში აღიარებული თანხები:

	2022	2021
აქტივის გამოყენების უფლების ხარჯის ცვეთა	833	398
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	157	37
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი (ადმინისტრაციულ ხარჯებში შესული)	213	125
სულ მოგება-ზარალში აღიარებული თანხა	1,203	560

ქვემოთ განსაზღვრულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

2021 წლის 1 იანვარს	419
შესყიდვები	1,441
ხელშეკრულების შეწყვეტა	(72)
მოგება-ზარალში დარიცხული საკუთრივ სხვაობით განპირობებული ზარალი	(50)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	37
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი თანხის გადახდა	(396)
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო წილის გადახდა	(37)
2021 წლის 31 დეკემბერს	1,342
შესყიდვები	3,626
მოგება-ზარალში დარიცხული საკუთრივ სხვაობით განპირობებული შემოსულობა	(166)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	157
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი თანხის გადახდა	(770)
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო წილის გადახდა	(157)
2022 წლის 31 დეკემბერს	4,032

(ათას ლარში)

12. წარმოებული ფინანსური ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა ტოტალიზატორის 178 (2021 წ.: 180) ღია პოზიცია. ტოტალიზატორის ღია პოზიციები წარმოადგენს მომხმარებლებისგან მიღებულ თანხებს იმ ღონისძიებებზე დადებული ფსონებიდან, რომლებიც წლის ბოლოსთვის ჯერ არ გამართულა. ასეთი პოზიციები არის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და ჯგუფმა საწყისი აღიარებისას მიაკუთვნა სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებას მოგებაში ან ზარალში ასახვით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმ თანხისგან, რომლის გადახდასაც ჯგუფი მოელის ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის ვადის მოსვლისას. ტოტალიზატორის ფსონები უპროცენტოა, შესაბამისად ამ ნაშთებზე არ არსებობს საპროცენტო განაკვეთის ან საკრედიტო რისკები.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები იყო შემდეგი:

	2022	2021
გადახდები მომწოდებლების მიმართ	5,916	6,609
ბანკების მიმართ დავალიანება მომხმარებელთა ანაზღაურებიდან		
გატანისთვის	1,009	745
საპრიზო ფონდთან დაკავშირებული ვალდებულებები	1,063	5,298
	7,988	12,652

სავაჭრო ვალდებულება უპროცენტოა და ჩვეულებრივ 30–დან 90 დღის ვადაში იფარება.

14. საგადასახადო დავალიანება

2022 წელს ჯგუფმა აღიარა განაწილებულ მოგებაზე (დივიდენდებზე) დარიცხული მოგების გადასახადი 5,944 ლარის ოდენობით კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში (2021 წ.: 4,087 ლარი).

2022 წლის 1 იანვრიდან, განაწილებული მოგების დაბეგვრის ნაცვლად, ონლაინ სამორინე თამაშების ერთობლივი შემოსავალი (ე.ი. სხვაობა მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებს და მოთამაშეებისთვის გადახდილ მოგებას შორის) 10%-იანი გადასახადით იბეგრება.

2022 წელს კომპანიამ მის აქციონერებზე გაანაწილა 86,316 ლარის ოდენობით დივიდენდები, საიდანაც მხოლოდ 33,684 ლარი იყო მოგების გადასახადის საგანი.

	2022	2021
მშობელ საწარმოებზე გადახდილი წმინდა დივიდენდები	86,316	23,158
მოგების გადასახადს დაქვემდებარებული დივიდენდების წილი	33,684	23,158
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15/85	15/85
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	5,944	4,087

(ათას ლარში)

15. ამონაგები და შემოსულობა

	2022	2021
შემოსულობები		
სათამაშო აპარატების ონლაინ თამაშები	177,628	137,863
ონლაინ სამორინეს თამაშები	13,675	5,955
ტოტალიზატორი	64,769	37,883
ფიზიკური სამორინე	207	88
სულ შემოსულობები	256,279	181,789
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
ამონაგები ონლაინ პირინგული თამაშებიდან	3,142	471
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	259,421	182,261
წამახალისებელი აქციების ზოგადი დანახარჯები	(33,572)	(19,241)
მთლიანი ამონაგები	225,849	163,019

შემოსულობა აღირიცხება წამახალისებელი აქციების წმინდა დანახარჯების გამოკლებით.

კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი სხვა შემოსავალი წარმოადგენს მომხმარებელთა გარიგებების საკომისიოს 10,328 ლარის ოდენობით (2021 წ.: 8,130 ლარი).

ამონაგების ძირითადი ნაწილი საბოლოოდ მომდინარეობს საქართველოში არსებული ონლაინ მომხმარებლებისგან. ბიზნეს ოპერაციების ხასიათიდან გამომდინარე, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან სახელშეკრულებო ნაშთები არ არსებობს.

16. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2022	2021
თამაშის პროვადერის ხარჯები	56,194	39,651
სათამაშო ბიზნესის სფეროში ერთობლივი შემოსავლის გადასახადი	37,421	–
თანხის გატანა/შემოტანის ხარჯები	28,798	21,170
ტოტალიზატორის გადასახადი	16,918	19,983
სხვა	5,902	3,287
	145,233	84,091

17. მარკეტინგული ხარჯები

	2022	2021
სარეკლამო ხარჯები	5,596	10,509
წამახალისებელი კამპანიების ხარჯები	1,815	858
სხვა მარკეტინგული ხარჯები	1,136	739
	8,547	12,106

18. სახელფასო ხარჯები

	2022	2021
თანამშრომელთა ხელფასები	7,830	5,496
თანამშრომელთა ბონუსები	1,661	1,123
დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	1,750	956
	11,241	7,575

(ათას ლარში)

19. სალიცენზიო და აზარტულ თამაშთან დაკავშირებული ფიქსირებული ხარჯები

	2022	2021
სათამაშო ბიზნესის ლიცენზიები და მოსაკრებლები	2,024	2,018
მარეგულირებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება	1,242	988
თამაშის დანახარჯები ფიზიკური სამორინისთვის და სხვა თამაშების მოსაკრებელი	98	93
	3,364	3,099

2022 წელს ჯგუფმა აღიარა მარეგულირებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება 1,242 ლარის ოდენობით (2021 წ.: 988 ლარი), რომლის მიზანია საქართველოს კონტროლის ერთიანი სისტემის დანერგვა და ფუნქციონირება „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესვლის შემდეგ.

20. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
კომუნიკაციის ხარჯები	406	341
სხვა მომსახურების საფასური	321	188
იურიდიული, აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების საფასური	281	273
საიჯარო ხარჯი	213	125
ტრანსპორტირების ხარჯები	182	127
წარმომადგენლობითი ხარჯები	167	–
კომუნალური ხარჯები	120	76
საოფისე, საკანცელარიო საქონელი	96	98
სხვა სალიცენზიო გადასახადები	71	102
საბანკო მომსახურების საფასური	25	21
სხვა საოპერაციო ხარჯები	325	510
	2,207	2,061

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

ჯგუფს თავისი საქმიანობით ექმნება რისკები, რომლებიც წარმოემოზა თავისი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც წარმოიქმნება ფინანსური რისკი:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- ▶ მოთხოვნები;
- ▶ სავაჭრო და სხვა ვალდებულება;
- ▶ მომხმარებელთა ანაზრები;
- ▶ საიჯარო ვალდებულებები;
- ▶ წარმოებული ფინანსური ვალდებულებები;

წარმოებული ფინანსური ვალდებულება ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება–ზარალში ასახვით. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ შეფასებულია ამორტიზებადი ღირებულებით.

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი***მოთხოვნები*

ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად, უკავშირდება სავაჭრო მოთხოვნებს, რომლის დიდი ნაწილი არსებობს ჯგუფის საგადახდო მომსახურების პროვაიდერების და საფინანსო დაწესებულებების მიმართ. ესენია მესამე მხარე კომპანიები, რომლებიც ხელს უწყობენ ჯგუფში მომხმარებლების ვირტუალურ საფულეზე თანხების განთავსებას და საფულიდან თანხების გამოტანას. ეს კომპანიები, ძირითადად, შუამავლები არიან, რომლებიც ოპერაციებს აწარმოებენ საკრედიტო ბარათის კომპანიების სახელით.

რისკი მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლოა გადახდის მომსახურების ოპერატორმა ვერ შეძლოს ვალდებულების შესრულება ჯგუფის მიმართ არსებული დავალიანების ნაშთთან დაკავშირებით. ჯგუფი საკრედიტო რისკს შემდეგნაირად ამცირებს:

- ▶ რეგულარულად ახდენს გადახდის მომსახურების ოპერატორების ნაშთების მონიტორინგს.
- ▶ ცდილობს ფულადი ანგარიშსწორება მოხდეს უმოკლეს შესაძლო ინტერვალში.
- ▶ ზრუნავს იმაზე, რომ გადახდის მომსახურების პროვაიდერთან ხელშეკრულება გაფორმდეს მხოლოდ სხვადასხვა შემოწმებისა და „იგნობდეს“ შენს კლიენტს“ პროცედურების ჩატარების შემდეგ.
- ▶ უზრუნველყოფს ისეთი პოლიტიკის არსებობას, რომელიც ამცირებს დამოკიდებულებას რომელიმე კონკრეტულ გადახდის მომსახურების პროვაიდერებს და ამ გზით ამცირებს კონცენტრაციის რისკს.

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან და დიდი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჯგუფს მიაჩნია, რომ გადახდის მომსახურების პროვაიდერების მიმართ მოთხოვნებს კარგი საკრედიტო ხარისხი აქვს და წლის ბოლოსთვის პოტენციური უიმედო ვალების დონე დაბალი იქნება.

ჯგუფის თაღლითობისა და რისკის მართვის შიდა განყოფილება ყურადღებით აკონტროლებს ფულის განთავსება-გატანას, რისთვისაც ასრულებს პრევენციისა და დადასტურების პროცედურებს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ჯგუფს თავისი ფულადი სახსრების უმეტესი ნაწილი განთავსებული აქვს კარგი რეპუტაციის მქონე საფინანსო დაწესებულებებში და არ ათავსებს ფულად სახსრებს დაბალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საფინანსო დაწესებულებებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საჭირო ხდება შეზღუდული რაოდენობის ნაშთების განთავსება კონკრეტული საოპერაციო საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ჯგუფს ნაღდი ფულის რეზერვები განთავსებულია აქვს მაღალ-ლიკვიდურ მიმდინარე ანგარიშებსა და ანაზრებზე და რეგულარულად ახდენს საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგს შემოსავლის მაქსიმალურად გაზრდა.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების, მაგალითად, სავალუტო კურსების, საპროცენტო განაკვეთების და აქციების კურსების, ცვალებადობა გავლენას მოახდენს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, უკუგების ოპტიმიზაცია.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკს განაპირობებს მხოლოდ პროცენტთან ანაზრები, რომლებშიც ჯგუფი აბანდებს თავის ნამეტ თანხებს.

ჯგუფის პოლიტიკაა, ნამეტი თანხების დაბანდება პროცენტთან საბანკო ანგარიშებში. ჯგუფი ზედმეტ თანხებს განათავსებს ამ პროცენტთან ანგარიშებზე თავის საბანკო მომსახურების ძირითად მომწოდებელთან.

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)**საბაზრო რისკი (გაგრძელება)***სავალუტო რისკი*

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. სავალუტო კურსების მერყეობის მიმართ ჯგუფის რისკის მოცულობა ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ჯგუფის ვალდებულებებს.

ჯგუფი ხელშეკრულებებს აფორმებს აშშ დოლარში, ევროსა და ლარში. ჯგუფი არ იყენებს სავალუტო წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომ განახორციელოს მომავალი გარიგებებისა და ფულადი ნაკადების ჰეჯირება.

ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები ძირითადად ადგილობრივ ვალუტაში ან ევროშია გამოხატული. შესაბამისად, ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ნაშთები ევროში, რომელთა მიმართებითაც ჯგუფს მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე:

	<i>ევრო</i>		<i>აშშ დოლარი</i>	
	<i>2022</i>	<i>2021</i>	<i>2022</i>	<i>2021</i>
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	3,322	25	176
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(185)	(423)	(66)	(114)
საიჯარო ვალდებულებები	(3,250)	–	(781)	(1,341)
წმინდა პოზიცია	(3,424)	2,899	(822)	(1,279)

ქვემოთ მოცემული ანალიზი ითვლის ლარის მიმართ სავალუტო კურსების სავარაუდო ცვლილებების ეფექტს კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის შემთხვევაში. ცხრილში უარყოფითი რიცხვები ასახავს პოტენციურ ნეტო შემცირებას კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან საკუთარ კაპიტალში, ხოლო დადებითი რიცხვები – პოტენციურ ნეტო ზრდას.

	<i>გამყარება</i>	<i>გაუფასურება</i>
2022 წლის 31 დეკემბერი		
ევრო (16%-იანი ცვლილება)	548	(548)
აშშ დოლარი (16%-იანი ცვლილება)	132	(132)
2021 წლის 31 დეკემბერი		
ევრო (16%-იანი ცვლილება)	(464)	464
აშშ დოლარი (16%-იანი ცვლილება)	205	(205)

ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ვადიანობის ანალიზთან.

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და ჯგუფის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებით იზღუდება, რომლებსაც პროცენტი არ ერიცხებათ და აქვთ ერთ თვიანი საშუალო ვადა.

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)**კაპიტალის მართვა**

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის, რომ დაკმაყოფილდეს ჯგუფის სტრატეგიული მიზნები. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით და ჯგუფის ამონაგების და მოგების მუდმივი მონიტორინგით.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვისადმი ჯგუფის მიდგომა არ შეცვლილა. ჯგუფს არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

22. ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

სამართლიანი ღირებულების წინასწარი შეფასების მიზანია იმ მიახლოებული თანხის მიღება, რადაც ფინანსური ინსტრუმენტი გაიცვლება ინფორმირებულ და მოსურნე მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციისას. თუმცა, განუსაზღვრელობისა და სუბიექტური განსჯის გამოყენების გამო, სამართლიანი ღირებულება არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც უტყუარად რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვისა თუ ვალდებულებების დაფარვის შემთხვევაში.

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც გამჟღავნებულია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ლი დონით არის შეფასებული.

23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა და 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებული მხარეების მიმართ დავალიანების ნაშთები:

სხვა დაკავშირებული მხარეები*	თამაშის	არამატერიალურ	გადახდები	გადახდილი ავანსი	მოთხოვნები
	პროვაიდერის ხარჯები	ი აქტივების შეძენა	მომწოდებლების მიმართ		
2022	1,677	–	–	718	195
2021	1,372	236	–	92	191

* სხვა დაკავშირებული მხარეები არიან სამეურნეო ერთეულები, რომლებიც უკავშირდებიან ჯგუფის უმცირესობის წილის მფლობელებს.

ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ 2022 წლის განმავლობაში მიიღო 1,338 ლარი ანაზღაურების სახით (2021 წ.: 985 ლარი), რომელიც აისახა სახელფასო ხარჯებში.

24. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 20 მარტს, 6 ივნისს და 14 სექტემბერს, კომპანიამ დაამტკიცა და გასცა 105 მილიონი ლარის ოდენობის დივიდენდები, გადასახადების გამოქვითვის გათვალისწინებით.

შპს „ფულ ჰაუსი“

2022 წლის მმართველობის ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

მპს „ფულ ჰაუსი“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით 405143303 რეგისტრირებულია 2016 წლის 31 მარტს „მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად“ და წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი N33.

2022 წ კომპანიის მესაკუთრეთა სტრუქტურა :

თემურ მიქელაძე, საქართველოს მოქალაქე	35%
ნორბერტ ფრანც ტეუფელბერგერ, ავსტრიის მოქალაქე	16.67%
გიგი ლევაი-ვეის, ისრაელის მოქალაქე	16.67%
მანფრედ ბოდნერი, ავსტრიის მოქალაქე	16.66%
კლაუს გემალ რასმუსენი, დანიის მოქალაქე	5%
გურამ დოლიძე, საქართველოს მოქალაქე	2.50%
ზურაბ ერქომაიშვილი, საქართველოს მოქალაქე	2.50%
ბაკურ ხარჩილავა, საქართველოს მოქალაქე	2.50%
გიორგი ბარნაბიშვილი, საქართველოს მოქალაქე	2.50%
	100%

კომპანია წარმოადგენს „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ აზარტული და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორს და გააჩნია მათი მოწყობის ნებართვა, მათ შორის ტოტალიზატორის მოწყობის (N19-05/337) და სათამაშო აპარატების სალონის (N19-06/233). კომპანია აზარტული თამაშობების ძირითად ნაწილს ახორციელებს სისტემურ-ელექტრონული ფორმით (ვებ გვერდი - www.crocobet.com). კომპანიის საფირმო სახელწოდებაა: „crocobet“.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგი სახის ძირითად პროდუქტებს:

- ონლაინ ტოტალიზატორი
- ონლაინ კაზინო
- Peer-To-Peer თამაშები

გარდა ზემოთხსენებული ონლაინ სეგმენტისა კომპანია ფლობს ოფლაინ სათამაშო აპარატების სალონს და ტოტალიზატორს ქ. ქიათურაში ნინოშვილის N 5.

მომხმარებლებისგან ფულადი სახსრების მიღება/გაცემას კომპანია ახორციელებს საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების სერვისების, საგადახდელო არხების, მომსახურე სალაროების და ქ. ქიათურაში მდებარე სალაროს მეშვეობით.

ბიზნეს გარემო - მიმოხილვა

სათამაშო ბიზნესი საქართველოში საკმაოდ კარგად არის განვითარებული და ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორს წარმოადგენს

სათამაშო ბიზნესის ეკონომიკური სარგებელი:

- მეტი სამუშაო ადგილი
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან მიღებული შემოსავალი ბევრი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილია
- სათამაშო ბიზნესი ტურიზმის განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ტურიზმი კი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია.

აღნიშნულ სეგმენტზე გავლენას ახდენს როგორც ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, ასევე საკანონმდებლო ცვლილებები მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან.

ბაზრის მიმოხილვა

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში და ბუნებრივია მასზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები.

ქართული ბაზარი ონლაინ -თამაშობების სეგმენტში ხასიათდება მზარდი კონკურენციით. აღნიშნულ სეგმენტში Crocobet თან ერთად 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ძირითადი მოთამაშეები:

- Crystalbet
- Adjarabet
- Lider-bet
- Betlive
- Europe-bet

კომპანიის მიერ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვილილებათა ცოდნის სიღრმე განსაზღვრავს ბაზარზე მის ქცევას. სწრაფად ცვლებად კონკურენტულ ბიზნეს გარემოში კომპანია განუწყვეტლივ ცდილობს შესთავაზოს საკუთარ მომხმარებლებს ინოვაციური პროდუქტები და მიდგომები.

კომპანიისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს:

- უწყვეტ რეჟიმში პროდუქტის ხელმისაწვდომობა, სისწრაფე, მოქნილობა (აპლიკაციები, რეგისტრაცია)
- თამაშობების მრავალფეროვნება
- ფულადი სახსრების მოძრაობის მხრივ უსაფრთხოება, ხელმისაწვდომობა, სიმარტივე, სანდოობა და მოძრაობის არხების გაფართოება
- უსაფრთხო ონლაინ გარემო
- ინფორმაციის კონფიდენციალურობა
- არსებული პროდუქციის გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება
- მომხმარებლებისათვის ახალი პროდუქტების შეთავაზება

საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები

სათამაშო ბიზნესს არეგულირებს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
5. „ფულის გათვრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
6. „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ნებართვის მფლობელ პირთა მიერ სანებართვო პირობების შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 14 დეკემბრის N611-1013 ერთობლივი ბრძანება;
7. „საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“;
8. „შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურის დეტალური სახეობების, მათი ოდენობების, გადახდის პერიოდულობისა და წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ივლისის N455 დადგენილება;
9. „კონტროლის ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირების მიზნით, თამაშობის ორგანიზატორის/ნებართვის მაძიებლის, თამაშების მიმწოდებლის/ნებართვის მაძიებლისა და შერჩეული პირის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 სექტემბრის N605 დადგენილება;
10. „ავტორიზაციის წესის, ავტორიზაციის სერტიფიკატის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის N239 ბრძანება;

11. „სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემის მიმართ მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის N240 ბრძანება;
12. „მოთხოვნების/სტანდარტების, დადგენის/სამოქმედოდ შემოღების შესახებ, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მაძიებლის/ნებართვის მფლობელის მიერ თავის საქმიანობაში გამოსაყენებელი/ გამოყენებული არსებითი პროდუქცია/მომსახურება, POS ტერმინალი ან/და ნებისმიერი სხვა მოწყობილობა“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის N243 ბრძანება;
13. „ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში თანხის ანგარიშზე შეტანის და ანგარიშიდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის N41 ბრძანება;
14. „სისტემურ-ელექტრონული ფორმით ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ მოთამაშის რეგისტრაციის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 26 თებერვლის N43 ბრძანება.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტ კომპანიას, შესაბამისად მისი საგადასახადო პოლიტიკა და სტრუქტურაც განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2022 წელს კომპანიამ ბიუჯეტში ჯამურად გადაიხადა 95.522 მილიონი ლარი.

კომპანიას განხორციელებული ოპერაციებიდან გამომდინარე ეკისრება შემდეგი ტიპის გადასახადები:

ონლაინ ტოტალიზატორის მოგების

გადასახადი:

მოგების გადასახადის მიზნებისათვის კომპანიას გააჩნია როგორც ჩვეულებრივი წესით დასაბეგრი ოპერაციები, ასევე სპეციალური წესით დასაბეგრი ოპერაციები და გადასახადისაგან გათავისუფლებული ოპერაციები (ოფლაინ ტოტალიზატორი და სათამაშო აპარატების სალონი).

სპეციალური წესით იბეგრება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობიდან მიღებული შემოსავლები საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ: „ტოტალიზატორის სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში პირისთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში არის ამ საქმიანობის მიხედვით ყოველი საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი, რომელიც იბეგრება 7%-იანი განაკვეთით. ამ შემთხვევაში პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით წარადგინოს დეკლარაცია და იმავე ვადაში გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტით მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგების (გარდა მათ მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული მოგებისა) განაწილება.

მოგების გადასახადი:

2017 წლის იანვრიდან მოქმედი კანონმდებლობის (ე.წ. ესტონური მოდელი) შესაბამისად მოგების გადასახადის დაბეგვრის ძირითად ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება, რომელიც იანგარიშება განაწილებული მოგების 0,85 ზე გაყოფით, ამასთან მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%.

კაზინოს მოგების გადასახადი:

2022 წლის 1 იანვრიდან აზარტული თამაშობის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა, ე.წ. GGR-ი - 10% იანი განაკვეთით.

საშემოსავლო გადასახადი:

1. 20% იანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციებია:
 - დაქირავებულ პირთათვის ხელფასის სახით გაცემული ანაზღაურება
 - ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირების მომსახურების ანაზღაურება
 - მომხმარებლებზე გაცემული პრიზები და სარგებლები
2. არარეზიდენტის შემოსავალი შესაძლებელია დაექვემდებაროს დაბეგვრას გადახდის წყაროსთან 15%-იანი, 10%-იანი, 5%-იანი და 0% -იანი განაკვეთით. დაბეგვრისას გაითვალისწინება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები და მათი გამოყენების წესი
3. დივიდენდი - 5%

საპენსიო ანარიცხი:

2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. საპენსიო შენატანის გადახდა ევალება ყველა დასაქმებულს და მის სასარგებლოდ ყველა დამსაქმებელს და სახელმწიფოს. თავად დასაქმებული ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე თითოეულს: დამსაქმებელს და სახელმწიფოს, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2%.

დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი):

კომპანია ახორციელებს:

- 18%-ით დასაბეგრ ოპერაციებს
- ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებს

ქონების გადასახადი:

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და ა. შ. ქონების გადასახადი ანგარიშდება ზემოაღნიშნული ქონების წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულებიდან არა უმეტეს 1%-ის ოდენობით.

წამახალისებელი გათამაშების მოსაკრებელი:

წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მფლობელებისთვის მოსაკრებელი საპრიზო ფონდის 10%-ის ოდენობით განისაზღვრება.

ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის 2022 წლის სრული ფინანსური მონაცემები - მათ შორის ფინანსური უწყისები, კონკრეტული პუნქტების შესაბამისი თანხობრივი მონაცემები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები დეტალურად მოცემულია 2022 წლის აუდიტირებულ ანგარიშგებაში.

საბალანსო უწყისი

2022

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	2,231
არამატერიალური აქტივები	1,833
აქტივის გამოყენების უფლება	4,040
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	160
სულ გრძელვადიანი აქტივები	8,264

მიმდინარე აქტივები

მარაგები	63
დებიტორული დავალიანება	8,972
გადახდილი ავანსები	2,632
წინასწარ გადახდილი სალიცენზიო და აზარტული თამაშების მოსაკრებელი	608
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10,489
სულ მიმდინარე აქტივები	22,764
სულ აქტივები	31,028

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	195
გაუნაწილებელი მოგება	13,532
სულ საკუთარი კაპიტალი	13,727

გრძელვადიანი ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები	2,476
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,476

მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	7,988
საგადასახადო დავალიანება	90
საიჯარო ვალდებულებები	1,556
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	178
მომხმარებელთა ნაშთები	5,013
სულ მიმდინარე ვალდებულებები	14,825
სულ ვალდებულებები	17,301
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	31,028

მოგება-ზარალის უწყისი

	2022
შემოსავალი და შემოსულობები	225,849
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(145,233)
საერთო მოგება	80,616
სხვა შემოსავალი	10,328
მარკეტინგის ხარჯი	(8,547)
სახელფასო ხარჯები	(11,241)
სალიცენზიო და აზარტულ სათამაშო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები	(3,364)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(2,207)
საოპერაციო ხარჯები	(1,344)
სულ საოპერაციო ხარჯები	(16,375)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,913)
საოპერაციო მოგება	62,328
ფინანსური შემოსავალი	3,766
ფინანსური დანახარჯები	(157)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	322
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	41
დასაბეგრი მოგება	66,300
მოგების გადასახადის ხარჯი	(5,944)
წლის სრული შემოსავალი	60,356

ორგანიზაციული კულტურა

კომპანია საქმიანობას ახორციელებს ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით. კომპანია ცდილობს ისეთი პროცედურების დანერგვას, რომლებიც ზრდის სწორი თანამშრომლის შერჩევის შესაძლებლობას, რომელიც გათვლილია გრძელვადიან ურთიერთობაზე. კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლებისთვის შექმნას, კარიერული განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობა უსაფრთხო, ჯანსაღი და კომფორტულ სამუშაო გარემო. უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის კორპორატიული სარგებლებით. კომპანია თანაბარ პოზიციაში განიხილავს სხვადასხვა ასაკის, გენდერის და სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა დასაქმებას.

კომპანიის ძირითადი რისკები

კომპანიის სპეციფიკისა და სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის მახასიათებლებიდან გამომდინარე შპს „ფულ ჰაუსის“-ს წინაშე არსებული საკვანძო რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად მიმართულებებად:

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მოთხოვნები წარმოქმნილია მყარი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, რომელიც ახორციელებენ ორგანიზაციის ფულადი სახსრების მიღებას მომხმარებლებისგან და შემდგომ მათ ასახვას ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებზე ერთ, სამ ან ხუთ სამუშაო დღეში. აღნიშნული კონტროლები ამცირებს საკრედიტო რისკებს.

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის

შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

სავალუტო რისკი წარმოიშობება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. კომპანია მიღებული საქონლის და მომსახურების შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში.

IT უსაფრთხოებისა და რეპუტაციის რისკი

ზოგადად ონლაინ სათამაშო ბიზნესი ხასიათდება მომხმარებელთა ლოიალობის მაღალი სენსიტიურობით.

კომპანიის რისკების შემცირების სტრატეგიები მოიცავს:

- ლეკ-ტოპებისა და დესკ-ტოპების დაცვას
- მონაცემების უსაფრთხოდ შენახვას
- ინტერნეტთან წვდომის სტრატეგიის ქონას
- ქსელების დაცვას
- სერვერების დაცვას
- შესაფერისი და დროული IT მხარდაჭერის ხელმისაწვდომობას

კომპანიაში მიღებულია ყველა შესაბამისი ზომა იმისთვის, რომ თითოეული მომხმარებლისათვის ვებ-გვერდზე ვიზიტი მაქსიმალურად უსაფრთხო იყოს.

2022 წელს არსებითი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა . კერძოდ:

აზარტული თამაშობის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა, ე.წ GGR-ი - 10% იანი განაკვეთით.

სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილე პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრა - მონაწილე პირის მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა - 2% იანი განაკვეთით.

საქართველოს მოქალაქისათვის 25 წლამდე გაიზარდა აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში მონაწილეთა ასაკობრივი ზღვარი, ხოლო დამოკიდებულ და აკრძალულ პირთა სიაში მყოფ პირებს საერთოდ აკრძალათ მონაწილეობის მიღება.

არსებითად შეიზღუდა რეკლამის გავრცელება (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა).

სამომავლო გეგმები და მიზნები

შპს „ფულ ჰაუსის“ მიზანია მომავალში მომხმარებლისთვის კიდევ უფრო მაღალი ხარისხის მომსახურების და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება, შესაბამისად კომპანია მუდმივად ახალი სტრატეგიული პროექტების დანერგვის და განვითარების შესაძლებლობების ძიებაშია

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

გია ღუმბაძე
დირექტორი

თარიღი: 12 დეკემბერი 2023 წ

